№2074 2015 წლის 24 სექტემბერი ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული პროგრამის „თბილისი - ტურისტულად მიმზიდველი ქალაქი“ ფარგლებში, „თბილისობა 2015“-სათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საქონლის, მომსახურების და სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული პროგრამის - „თბილისი - ტურისტულად მიმზიდველი ქალაქი“ ფარგლებში, მიეცეს უფლება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, „თბილისობა 2015“-სათვის,

თბილისის ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, „ძველი თბილისის ტურის“ ფარგლებში, სპეციალური მანიშნებლების მოწყობისა და დედაქალაქში არსებული ტურისტულ-საინფორმაციო აპარატების სპეციალური პროგრამით უზრუნველყოფისათვის განახორციელოს საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შესყიდვა - 97,500 (ოთხმოცდაჩვიდმეტი ათას ხუთასი) ლარის ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების შესაბამისად.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**